



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080148028028219

№ 3319

05 / აგვისტო / 2019 წ.

**შპს „გიგანის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ**

**შემსყიდველი ორგანიზაცია:** სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“;

**ტენდერების ნომრები:** SPA180009372 და SPA180009386;

**შესყიდვის ობიექტი:** 15600000 – დაფქული მარცვლეული პროდუქტები, სახამებელი და სახამებლის პროდუქტები; 15400000 – ცხოველური ან მცენარეული ზეთები და ცხიმები;

**მიმწოდებელი:** შპს „გიგანი“ (ს/ნ: 432543205);

**წერილობითი შეტყობინების საფუძველი:** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

**აღწერილობითი ნაწილი**

**1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 5 ივნისს წარმოდგენილ იქნა სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ 2019 წლის 5 ივნისის №870/01-17 და №871/01-17 წერილობითი შეტყობინებები (რეგისტრაციის № 5988 და № 5989), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა შპს „გიგანის“ (ს/ნ: 432543205) მიერ SPA180009372 და SPA180009386 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული 2019 წლის 3 იანვრის №32 და 2019 წლის 8 იანვრის №40 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. შპს „გიგანს“ სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე [gigani25@yahoo.com](mailto:gigani25@yahoo.com), 2019 წლის 12 ივნისის № 2216 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეებზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

**2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია**

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული ორი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2019 წლის 17 ივნისის 2003/01-17 წერილით, ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული №32 და №40 ხელშეკრულებები.

**3. მიმწოდებლის პოზიცია**

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

**4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები**

4.1. 2018 წლის 10 დეკემბერს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულმა ცენტრმა“ გამოაცხადა SPA180009372 ელექტრონული ტენდერი დაფუძვლილ მარცვლელ პროდუქტების, სახამებელისა და სახამებლის პროდუქტების (CPV15600000) შესყიდვის მიზნით. სატენდერო კომისიის 2018 წლის 26 დეკემბრის №3 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „გიგანი“ (ს/ნ: 432543205) და იგი მინვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.2. 2018 წლის 11 დეკემბერს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულმა ცენტრმა“ გამოაცხადა SPA180009386 ელექტრონული ტენდერი ცხოველური ან მცენარეული ზეთებისა და ცხიმების (CPV15400000) შესყიდვის მიზნით. სატენდერო კომისიის 2018 წლის 27 დეკემბრის №3 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „გიგანი“ (ს/ნ: 432543205) და იგი მინვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. მხარეთა შორის 2019 წლის 3 იანვარს გაფორმდა №32 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს, მოთხოვნიდან არაუგვიანეს ხუთი დღის ვადაში, შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მისი გაფორმებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 6 210 ლარი, ხოლო მოქმედების ვადა – 2020 წლის 31 იანვრამდე.

4.4. მხარეთა შორის 2019 წლის 8 იანვარს გაფორმდა №40 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს, მოთხოვნიდან არაუგვიანეს ხუთი დღის ვადაში, შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მისი გაფორმებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 6 490 ლარი, ხოლო მოქმედების ვადა – 2020 წლის 31 იანვრამდე.

4.5. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2019 წლის 22 აპრილის წერილით მიმწოდებელს მოსთხოვა მხარეთა შორის გაფორმებული №32 და №40 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქონლის ნაწილის (მანანის ბურღული 50 კგ, ჰერკულესი 40 კგ, ხორბლის ფქვილი 150 კგ და ზეთი 138 კგ) მიწოდება.

4.6. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 3 მაისის №1449/01-17 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელმა, მიუხედავად მოთხოვნისა, შემსყიდველ ორგანიზაციას მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადაში ვერ მიანოდა მხარეთა შორის გაფორმებული №32 და №40 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქონლის ნაწილი. ამავდროულად წერილის თანახმად, მიმწოდებელს ზეპირსიტყვიერად კვლავ ეთხოვა შემსყიდველი ორგანიზაციისთვის საქონლის მიწოდება, თუმცა ამარად.

4.7. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2019 წლის 22 მაისის წერილით, მიმწოდებელს მოსთხოვა მხარეთა შორის გაფორმებული № 32 და № 40 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქონლის ნაწილის (მანანის ბურღული 50 კგ, ჰერკულესი 40 კგ, ხორბლის ფქვილი 150 კგ და ზეთი 138 კგ) მიწოდება.

4.8. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 4 ივნისის №854/01-17 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელმა, მიუხედავად მოთხოვნისა, შემსყიდველ ორგანიზაციას ვერ მიანოდა მხარეთა შორის გაფორმებული №32 და № 40 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქონლის ნაწილი. ამავდროულად, მიმწოდებელს მიეცა გაფრთხილება იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ცალმხრივად შეწყდებოდა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.

4.9. ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2019 წლის 17 ივნისის 2003/01-17 წერილით, ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული №32 და №40 ხელშეკრულებები.

4.10. საქმეში არსებული მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, მიმწოდებელმა მხარეთა შორის გაფორმებული №32 ხელშეკრულების ფარგლებში შეასრულა 1 540 ლარის ღირებულების ვალდებულებები.

4.11. საქმეში არსებული მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, მიმწოდებელმა მხარეთა შორის გაფორმებული № 40 ხელშეკრულების ფარგლებში შეასრულა 1 574,12 ლარის ღირებულების ვალდებულებები.

## სამოტივაციო ნაწილი

### 5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „გიგანი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

### 6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

### 7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2019 წლის 3 იანვრის №32 და 2019 წლის 8 იანვრის №40 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. აღსანიშნავია, რომ შპს „გიგანი“ (ს/ნ: 432543205) 2019 წლის 22 თებერვალს, ასევე 5 და 18 ივლისს დარეგისტრირდა შავ სიაში SPA180005548, SPA180006404, NAT180018530, NAT180018537 და NAT170014538 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების გამო.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ორი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, დარღვევის სიმძიმისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტების გათვალისწინებით, შპს „გიგანი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

### **სარეზოლუციო ნაწილი**

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „გიგანი“ (ს/ნ: 432543205) 2019 წლის 6 აგვისტოს დარეგისტრირდეს შავ სიაში და მის შესახებ რეესტრში გაკეთდეს ორი სარეგისტრაციო ჩანაწერი.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

